ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4017268

ნომერი: AR1605625

თარიღი : 02.06.2018

გაცემის თარიღი : 19.06.2018

გაცნობის თარიღი : 19.06.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი აბანოს , N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დან ნახუმ პ/ნ 01017036708
- თბილისი მისამართის გარეშე

ორგანიზაცია:
- შპს "დან დიურ ჰოლდინგი" კოდი: 2038855104

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატივრთული 2018 წლის 02 ივნისის AR1605625 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, აბანოს შეს. N7-ში არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო აბრების განთავსების საკითხს.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ არ არის გამოსწორებული სამსახურის 2018 წლის 05 ივნისის №3996416 და 2018 წლის 07 ივნისის №4000174 გადაწყვეტილებებით მოწერილი რეკომენდაცია: რეკომენდირებულია სარეკლამო აბრა N1 ფასადის სიბრტყეზე მოეწყოს მოცულობითი ასოებით ფონის გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან არ იქნა გამოსწორებული სამსახურის რეკომენდაცია, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება თქვენი 2018 წლის 02 ივნისის AR1605625 განაცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.